საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-12/5499
30/05/2022

5499-15-12-2-202205300946

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წინადადება

მოქალაქე [redacted] მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის შესაძლო ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.[1]

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართეს საქართველოს მოქალაქე [redacted] (ბ/ნ: [redacted] და მისმა ადვოკატებმა. განცხადებიდან ირკვევა, რომ [redacted] არ მიეცა საქართველოს საზღვრის გადაკვეთისა და საზღვარგარეთ გამგზავრების საშუალება.

ფაქტობრივი გარემოებები

[redacted] უთითებს, რომ 2022 წლის 22 თებერვალს უნდა გამგზავრებულიყო პოლონეთში, კერძოდ ვარშავაში. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან, მან წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები (სამგზავრო ბილეთი, კოვიდ-

[1] წინადადება მომზადებულია განმცხადებლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

ტესტის პასუხი და სხვა), თუმცა, გაუგებარი მიზეზით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა არ მისცეს უფლება, გადაეკვეთა საქართველოს საზღვარი. [redacted] განმარტებით, მას არ გააჩნდა რომელიმე გამოძიების ფარგლებში ბრალდებულის სტატუსი და მის მიმართ არ მიმდინარეობდა ძებნა.

სახალხო დამცველის აპარატმა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია.[2]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოქალაქე [redacted] (დაბადებული: [redacted], პ/ნ: [redacted]) მიმართ სამინისტროს მხრიდან, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო ბანკში არ ფიქსირდება.[3]

საქართვლოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია ასევე გამოითხოვა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან.[4]

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული 2022 წლის 17 მაისის N13/29798 წერილით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე [redacted] სარგებლობს მოწმის სტატუსით.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს იმ პირების საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლებას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.[5] ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.[6]

საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გასვლის უფლებას ასევე აღიარებს საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ", რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან დროებით გასვლის უფლება და ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[7] ამავე კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას

---

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 7 მარტის N15-12/2545 წერილი.
[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 12 აპრილის N MIA 2 22 00961034 წერილი.
[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 3 მაისის N15-12/4661 წერილი.
[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 14, პუნქტ.1.
[6] საქართველოს კონსტიტუცია. მუხ.14, პუნქტ. 2.
[7] საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ", მუხ.3., პუნქტ.1 და 2.

საქართველოდან დროებით გასვლაზე ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ იგი იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ან წარადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთს.[8]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პირის მიმართ ძებნის შესახებ დადგენილება შეიძლება გამოიტანოს პროკურორმა ამ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ.[9] ამავე კანონის თანახმად, პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქართველოს მოქალაქის პასპორტის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება მხოლოდ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ,[10] პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით.[11] კოდექსი ასევე დასაშვებად მიიჩნევს აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად დამატებითი ვალდებულების, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის გამოყენებას.[12]

სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლას.[13]

ამრიგად, წინამდებარე ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა მოქალაქე [redacted] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა და ვინ წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღებ პირს. აღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით, აუცილებელია გამოძიების დაწყება და შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის" თანახმად, „სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი".[14] ამავე ბრძანების თანახმად, „პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე".[15]

---

[8] საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ", მუხ.10, პუნქტ.1.
[9] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ.33, ნაწ.6, ქვეპუნქტ. „ო".
[10] იქვე, მუხ. 163.
[11] იქვე, მუხ. 164.
[12] იქვე, მუხ. 199, ნაწ. 2.
[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 152.
[14] 2019 წლის 23 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება N3, დანართი, პუნქ. 1.
[15] 2019 წლის 23 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება N3, დანართი, პუნქ. 2

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ 2022 წლის 22 თებერვალს, თბილისის აეროპორტში, მოქალაქე [redacted], სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სავარაუდოდ არ მისცეს შესაძლებლობა, გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ადგილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ გამოძიება 2022 წლის 22 თებერვალს საქართველოს მოქალაქე [redacted] (პ/ნ: [redacted]) მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის ფაქტზე, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამასთან, ვინაიდან აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული თანამშრომლის/თანამშრომლების მიერ, გამოძიება დაუქვემდებაროთ პროკურატურის გამომძიებელს.

გთხოვთ, განხორციელებული რეაგირების შესახებ მაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების ასლებს.

დანართი: 13 (ცამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი